აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 33

12 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებში მონაწილე პარტიების/საარჩევნო ბლოკების რიგითობის დასადგენად გამართული კენჭისყრის შედეგების დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის №10 დადგენილებისა და 2004 წლის 11 ივნისს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გამართული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებში მონაწილე პარტიების/საარჩევნო ბლოკების და მათ მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ნომრები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. საქართველოს რესპუბლიკური პარტია-№1.
2. საქართველოს ახალი კომუნისტური პარტია-№2.
3. პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"-№3.
4. საქართველოს ლეიბორისტური (შრომის) პარტია-№4.
5. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-№5.
6. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია-№6.
7. საარჩევნო ბლოკი „ძლიერი აჭარა-ერთიანი საქართველოსათვის"-№7.
8. საქართველოს მწვანეთა პარტია-№8.
9. პ/გ "მერაბ კოსტავას საზოგადოება-№9.
10. დემოკრატიული სიმართლის პარტია-№14.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა
კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე